

ფრონტ ენდ დეველოპმენტი

საბაზისო კურსი - სილაბუსი

ამ კურსზე ისწავლი, როგორ შექმნა ლამაზი და ინტერაქტიული გვერდები HTML-ის, CSS-ისა და JavaScript-ის საფუძვლების შესწავლით. ეს არის ის სამი ძირითადი კომპონენტი, რისგანაც შედგება ყველა თანამედროვე ვებ გვერდი. ვებ გვერდი საჭირო და მომგებიანი საკომუნიკაციო საშუალებაა ნებისმიერი ბიზნესისთვის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. კურსის დასრულების შემდეგ შენ გექნება ყველა საჭირო უნარი საკუთარი ვებ გვერდის შესაქმნელად ან ამ მიმართულებით კარიერის შესაქმნელად.

კურსი თემატურადაა დაყოფილი რამდენიმე კომპონენტად. ცხრილში მოცემულია ამ კომპონენტების სია და თითოეული მათგანისთვის განსაზღვრულია ის შედეგი რასაც სტუდენტი მიიღებს თითოეული კომპონენტის გავლის შემდეგ.

კომპონენტი	შინაარსი	შედეგი
1. HTML-ისა და CSS-ის შესავალი	დაიწყებ ვებ გვერდის შექმნას HTML-ისა და CSS-ის დახმარებით. გაეცნობი ვებ დეველოპმენტის ძირითად შემადგენელ კომპონენტებს.	<ul style="list-style-type: none">HTML-ისა და CSS-ის განსაზღვრაHTML ტეგების დამატება და რედაქტირებაCSS მახასიათებლების გამოყენებავებ გვერდის სტრუქტურული საფუძვლები
2. HTML-ის საწყისები	უფრო დეტალურად ჩაუღრმავდები HTML-ის საფუძვლებს.	<ul style="list-style-type: none">სემანტიკური მნიშვნელობებიკონტენტის ფორმატირებაფაილური იერარქიასურათების ჩასმაბლოკური და ხაზოვანი ელემენტები
3. CSS-ის საწყისები	ისწავლი, როგორ განსაზღვრო HTML-ის სტილები ფერებით, ფონით, შრიფტის ზომის, წყობის და სხვა მახასიათებლების გამოყენებით.	<ul style="list-style-type: none">მომნიშვნელები (სელექტორები)მახასიათებლები და მნიშვნელობებიCSS-ის წყობა
4. Chrome-ის დეველოპერული ინსტრუმენტების გამოყენება CSS-ის გამართულად დასაწერად	ამ კომპონენტის დახმარებით ისწავლი, როგორ გამოიყენო ყველაზე გამოსადეგი და საჭირო ინსტრუმენტი CSS-ის გამართულად დასაწერად.	<ul style="list-style-type: none">Chrome DevTools
5. დიზაინის გარჩევა	ეს კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია ვებ გვერდის	<ul style="list-style-type: none">დიზაინის შინაარსის გააზრება

	სტრუქტურის სწორად დასაგეგმად და სასურველი დიზაინის ასაწყობად.	<ul style="list-style-type: none"> • დიზაინის კომპონენტებად დაყოფა • ვებ გვერდის სტრუქტურის შექმნა დიზაინის მიხედვით
6. JavaScript-ის საფუძვლები	ეს კომპონენტი დაგეხმარება გაეცნო ერთერთი ყველაზე პოპულარული პროგრამირების ენის კონცეფციასა და სინტაქსს.	<ul style="list-style-type: none"> • რა არის JavaScript-ი (JS) • ცვლადები, მონაცემთა ტიპები და პირობითი განსაზღვრებები • რა არის ფუნქცია და რატომაა ეფექტური • ძირითადი სინტაქსი
7. CSS გვერდის წყობის საფუძვლები	ისწავლე როგორ განალაგო ელემენტები და გააუმჯობესო მისი წყობა.	<ul style="list-style-type: none"> • ნორმალიზება • წყობის სისტემა • პოზიციონირება
8. ვებ გვერდის რესპონსიული წყობა	გაეცანი რესპონსიული ვებ დიზაინის საფუძვლებს. ისწავლე ფუნდამენტური პრინციპები დიზაინის რესპონსიული წყობისათვის.	<ul style="list-style-type: none"> • მედია ქუერები • ბრეიქ ფოინტები • გვერდის წყობა
9. CSS Flexbox წყობა	გაიგე, როგორ გახადო კონტენტი უფრო მოქნილი მისი წყობის, მიმართულების, ზომების, სწორების და თანმიმდევრობის სამართავად.	<ul style="list-style-type: none"> • Flexbox-ის საფუძვლები და ტერმინოლოგია • მახასიათებლები
10. HTML-ის ფორმები	ისწავლე ვებ ფორმების და მისი ძირითადი ელემენტების შექმნა.	<ul style="list-style-type: none"> • ფორმები • შეტანის ელემენტები • მომნიშვნელები
11. Git-ის შესავალი	დაეუფლე ვერსიის კონტროლის ყველაზე პოპულარული სისტემის, GitHub-ის გამოყენების საფუძვლებს.	<ul style="list-style-type: none"> • რეპოზიტორიის შექმნა • პროექტის ატვირთვა • ცვლილებების შეტანა • GitHub Pages-ის გამოყენება
12. JavaScript-ის ციკლები, მასივები და ობიექტები	გაიგე მეტი მონაცემთა შენახვის სხვადასხვა ხერხებისა და მათზე შესაძლო მოქმედებების შესახებ.	<ul style="list-style-type: none"> • ციკლები • მასივები • ობიექტები
13. JavaScript-ი და DOM-ი	განსაზღვრე დამატებითი ინტერაქცია მომხმარებლის მოქმედების შესაბამისად.	<ul style="list-style-type: none"> • რა არის DOM? • მანიპულაციები • მომხმარებლის მოქმედებაზე რეაგირება
14. CSS სელექტორები	გარდა ელემენტის იდენტიფიკატორის, კლასისა და ელემენტის სახელისა, არსებობს სხვა გზები HTML	<ul style="list-style-type: none"> • ატრიბუტ სელექტორის გამოყენება • ფსევდო კლასები

	დოკუმენტის ელემენტებზე წვდომის მოსაპოვებლად - ამ კომპონენტში სწორედ ამას ისწავლი.	<ul style="list-style-type: none"> • ფსევდო ელემენტები
15. HTML-ის ცხრილები	ინფორმაციის გარკვეული ტიპი საჭიროებს მონაცემების ცხრილური სახით გადმოცემას, ეს კომპონენტი დაგეხმარება ისწავლო, როგორ გაანაწილო ინფორმაცია ცხრილის სვეტებსა და მწკრივებში.	<ul style="list-style-type: none"> • ცხრილის ელემენტები • ცხრილის ორგანიზება

კურსის დასრულებამდე, სტუდენტები იმუშავებენ საგამოცდო პროექტზე, რომელიც ბოლო კვირაში მიეცემათ და რეალურად შეამონმებს კურსის განმავლობაში შეძენილ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და მისი გამოყენების უნარებს. ამ დროის განმავლობაში სტუდენტები იმუშავებენ ისეთ რეჟიმში, როგორშიც ფრონტ ენდ დეველოპერებს უნევთ მუშაობა.

გარდა ამისა, მთლიანი კურსის განმავლობაში სტუდენტებს ექნებათ საშინაო დავალებები ლექციაზე გავლილი თეორიული მასალის პრაქტიკულად დამოუკიდებლად გამოსაყენებლად და ცოდნის განსამტკიცებლად; ხოლო საკლასო აქტივობისას ისინი ისწავლიან პრობლემების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრის გზებს. ქვიზების დახმარებით კი პერიოდულად შემონმდება სტუდენტების ცოდნა და შედეგებიდან გამომდინარე მოხდება პრობლემატური/რთულად გასაგები კომპონენტების ხელმეორედ განხილვა საუკეთესო შედეგის მისაღწევად.